Changing the amount of alimony must be conditioned by the stability of the circumstances that were the basis for determining the initial amount of alimony. This, first of all, implies the emergence of new circumstances, which should make a change in the previously determined amount of alimony. In such a case, the plaintiff claims the circumstances specified as the basis for increasing the amount of alimony established by the court. And the defendant, in turn, must prove the amount of his income. The marital relationship between spouses necessarily implies the duty of finding material support for each other. The law establishes the conditions for ensuring the

interests of those persons who need material assistance. When deciding the issue of material support, the court takes into account the income of both spouses. The rights and obligations of spouses for mutual maintenance arise from the moment of marriage registration and continue throughout the marriage. The actual marital relationship does not give rise to the legal obligation of mutual support between a man and a woman. The change in the amount of alimony includes its complete cancellation.

ავტორი: **სოფიკო ანჩაბაძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სისხლის სამართალი
პირველი კურსის მაგისტრანტი
ელ. ფოსტა: anchabadzesofia9@gmail.com
ხელმძღვანელი: **გივი ლობჟანიძე**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ელ. ფოსტა: givi.lobzhanidze@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა და მასთან ბრძოლის პრაქტიკა იტალიის მაგალითზე

ორგანიზებული დანაშაული, უკვე დიდი ხანია, მთელს მსოფლიოში იღებს ტრანსნაციონალურ დანაშაულის ხასიათს. უნდა აღნიშნოს, რომ ევროპაში და აზიაში ისტორიულად არსებობდა კონტრაბანდისტების, ძვირფასეულობის ქურდების და ნარკორეალიზატორების საერთაშორისო ორგანიზაციები, სიცილიაში მძლვრობდა სიცილიური მაფია და იაპონიაში -

იაკუზა, რომლებიც მრავალსაუკუნოვან კრიმინალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

XXI საუკუნეში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მთელი კაცობრიობისთვის რეალურ საფრთხედ იქცა. ის გაცილებით უფრო საფრთხის შემცველია პატარა სახელმწიფოებისათვის, თუნდაც ისეთისათვის როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებს გააჩნია ზრდის ტენდენცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებას. ორგანიზებული დანაშაული შექმნილია უკანონო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ასეთი ორგანიზაციები ეწევიან ისეთ დანაშაულებებს, როგორიცაა ქურდობა, თაღლითობა, ძარცვა, გამოსასყიდის მიზნით გატაცება და ფულის მოთხოვნა. ამ კრიმინალური სინდიკატების შემოსავლის ძირითადი წყაროა არალეგალური საქმიანობიდან შემოსული თანხები, რომლებზეც არსებობს მუდმივი საზოგადოებრივი მოთხოვნა, როგორიცაა ნარკოტიკები, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში ამ კუთხით განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა ცივილიზებული სამყარო, მთელი ძალისხმევა მიეპყრო ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის მექანიზმების შემუშავებისაკენ.

მკვლევართა აზრით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული შინაარსის გათვალისწინებით არსებით შესწავლას მოითხოვს.

მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ დააგროვა პრაქტიკა და ახდენს თეორიულ კონსტანტაციას. ეს პროცესი გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, განსაკუთრებით გამოიკვეთა იტალიის მაფია, რომელიც აკონტროლებდა სახელმწიფოს მმართველობის უკლებლივ ყველა სფეროს და უშუალო გავლენას ახდენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. იტალიური საზოგადოების პროტესტმა, რომელიც „სუფთა ხელებით“ არის ცნობილი, შეძლო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედება და მაფიის

ძალაუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონფისკაციის ინსტიტუტის არსებობას, რისი მეშვეობითაც ყველაზე მძიმე დარტყმა იგემეს მაფიამ და კორუფციაში ჩართულმა სახელმწიფო მოხელეებმა. მასალები, რომელსაც სტატიის საყრდენს წარმოადგენს იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობის ძირითად მიმართულებათა დესკრიფციულ ანალიზს წარმოადგენს.

ჩვენი გამოსვლის თემად სწორედ იტალიის მაგალითი ავირჩიეთ, რადგანაც არც ერთ ქვეყანას მაფიასთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ისეთი ხანგრძლივი ისტორია არ გააჩნია, როგორც იტალიას.


Author's name: **Sopiko Anchabadze**

Guram

Tavartkiladze Tbilisi

Teaching University

Criminal law, 1st year MA Student

e-mail: anchabadzesofia9@gmail.com

Supervisor: **Givi Lobzhanidze**

Doctor of Law, Professor

e-mail: givi.lobzhanidze@gttu.edu.ge

Tbilisi Georgia


## TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME AND THE PRACTICE OF FIGHTING IT ON THE EXAMPLE OF ITALY

Organized crime has long been taking on the character of transnational crime around the world. It should be noted that in Europe and Asia there have historically been international organizations of smugglers, jewel thieves and drug dealers, in Sicily the Sicilian Mafia and in Japan - the Yakuza, which represent centuries-old criminal organizations.

In the 21st century, transnational organized crime has become a real threat to all humanity. It is much more dangerous for small states, even for such as our country.

Transnational organized crimes have a growing trend that threatens the normal development of any state. Organized crime is created to carry out illegal activities. Such organizations engage in crimes such as theft, fraud, extortion, kidnapping for ransom and extortion. The main source of income for these criminal syndicates is money from illegal activities for which there is a constant public demand, such as drugs, prostitution, gambling and others.

The recent developments in this regard forced the civilized world to devote all its efforts to the development of prevention and fight against transnational crime.

According to the researchers, transnational organized crime requires substantial study considering the content.

Many countries of the world have accumulated practice and make theoretical determinations. This process became more active after the Second World War, especially the Italian mafia, which controlled almost all areas of government and directly influenced political decisions. The protest of the Italian public, which is known for its "clean hands", was able to effectively activate the criminal justice mechanisms and significantly limit the power of the mafia. In this regard, the existence of the institution of confiscation is of great importance, through which the mafia and government officials involved in corruption have been dealt the hardest blow. The materials that form the basis of the article represent a descriptive analysis of the main directions of Italian anti-corruption and anti-mafia legislation.

We chose the example of Italy as the topic of our speech, because no country has such a long history of fighting the mafia and transnational organized crime as Italy.

ავტორი: **ლიკა ბაგაშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: likabagashvili2@gmail.com
ხელმძღვანელი: **ნინო ბოჭორიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## მრავალმხრივი გარემოსდაცვითი მმართველობა და შეთანხმებები

ნაშრომში განხილული იქნება საქართველოს ამოსავალი პრობლემები გარემოსდაცვით ღონისძიებათა საკითხში, ამავდროულად ჩართულობა გარემოსდაცვით საქმიანოებეში პროგრესული ზრდა-განვითარების თვალსაზრისით და ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (მუხლი230).

გარემოს დაცვითი ასპექტები თავისი არსით ნამდვილად კომპლექსური, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტალური

მახასიათებელია თითოეული სახელმწიფოსთვის. გარემოსდაცვითი საკითხები ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების თითქმის ყველა დარგთან იკვეთება. გარემოსდაცვითი საქმიანობისა და ეკონომიკური ზრდის გაწონასწორება გამოწვევაა ყველა ქვეყნის მთავრობისთვის და გამონაკლისი არც საქართველოა. ამბიციური მიზნების მისაღწევად აუცილებელია გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება შესაბამის პოლიტიკურ მიმართულებებში და ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე გარემოსდაცვითი მმართველობის და ფუნქციონალურობის გაუმჯობესება.

ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის ფარგლებში დადებულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. მზგავსი ხელშეკრულება ევროკავშირმა დადო საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან. „ასოცირების შესახებ შეთანხმება არის ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის." საქართველომ ხელშეკრულება დადო არამხოლოდ ევროკავშირთან, არამედ, ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოსთან და ევროატომთან.

სწორედ აქედან გამომდინარეობს საერთასორისო და ევროინტეგრაციის თვალსაზრისით ასოცირების შესახებ ხელსეკრულების 230-ე მუხლი რომლის ამოსავალიც მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები აღიარებენ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი მმართველობისა და შეთანხმებების მნიშვნელობას, როგორც საერთაშორისო საზოგადოების პასუხს გლობალურ ან რეგიონულ გარემოსდაცვით პრობლემებზე და ხაზგასმით აღნიშნავენ ერთობლივი მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროებას ვაჭრობისა და გარემოსდაცვით პოლიტიკას შორის.

ნაშრომში ასევე განხილული იქნება ის ფუნდამენტები თუ რას მოიცავს გარემოსდაცვითი საქმიანობანი. რაღა თქმა უნდა მოცემული საკითხი საქმიანობათა ფართო სპექტრს მოიაზრებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და

კანონმდებლობის შემუშავება, გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნების განხორციელება, კანონაღსრულება, საქმიანობის განხორციელების პროგრესის ზედამხედველობა/მონიტორინგი და ეროვნულ დონეზე მიღწევების გაანალიზება.


Author's name: **Lika Bagashvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Third year law student
e-mail: likabagashvili2@gmail.com
Supervisor: **Nino Botchorishvili**
Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Professor
e-mail: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia


## MULTILATERAL ENVIRONMENTAL GOVERNANCE AND AGREEMENTS


The paper will discuss the emerging problems of Georgia in the issue of environmental measures, at the same time, involvement in environmental activities from the point of view of progressive growth and development, as well as the association agreement between Georgia on the one hand and the European Union and the European Atomic Energy Union and their member states on the other hand (Article 230).

Environmental protection aspects are indeed complex in nature but one of the most fundamental characteristics of each state.

Environmental issues intersect with almost all areas of economic and social development. Balancing environmental performance and economic growth is a challenge for all governments, and Georgia is no exception. In order to achieve ambitious goals, it is necessary to integrate environmental issues into relevant political directions and improve environmental governance and functionality at the national or international level.

The association agreement is an international agreement of Georgia concluded within the framework of the Eastern Partnership (EaP) initiative. The European Union concluded a similar agreement with Georgia, Ukraine and Moldova. "The Association Agreement is between, on the one hand, the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, and on the other Georgia signed an agreement not only with the European Union, but also with the 27 member states of the European Union and Euratom. This is where Article 230 of the Agreement on Association for International and European Integration comes from, the starting point of which is that the parties recognize the importance of multilateral environmental governance and agreements as the international community's response to global or regional environmental problems and emphasize the need to strengthen joint support between trade and environmental policies.

The paper will also discuss the fundamentals of what environmental activities include. Of course, this issue covers a wide range of activities, such as the development of environmental policy and legislation, the implementation of environmental policy goals, law enforcement, the progress of the implementation of activities Oversight/monitoring and analysis of achievements at the national level.

ავტორი: **ლიკა კაკაშვილი**

გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: kakashvilil217@gmail.com
ხელმძღვანელი: **ნინო ბოჭორიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა

ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში დადებულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. მსგავსი ხელშეკრულება ევროკავშირმა დადო საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან.

ასოცირების შეთანხმებით საქართველო ვალდებულია დაუახლოვოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას, განახორციელოს პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროკავშირში. დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითრებაში არსებითად მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამართლისა და ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობა.

ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოსათვის გაჩენილი ევროპული პერსპექტივა დღეს მნიშვნელოვან ეტაპზე გადავიდა, რუსეთის მიერ უკრანიაში ფართომაშტაბიანი ომის წამოწყებით უკრაინისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეთავაზეამ, მოლდოვასა და

საქართველოს მისცა შესაძლებლობა ევროპული ოჯახის წევრი გახდეს უფრო ადრე, ვიდრე ამას ვარაუდობდა.

2021 წლის მაისში, საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიევში მოაწერეს ხელი მემორანდუმს "ასოცირებული ტრიოს" დაფუძნების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის ძალისხმევის გაერთიანებას.

პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა 2022 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო ძალების უკრაინაში შეჭრის პარალელურად. რუსეთთან სრულმასშტაბიან ომში მყოფმა უკრაინამ 28 თებერვალს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი შეიტანა. რასაც მოჰყვა საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკის მიერ განაცხადების წარდგენა.

2022 წლის 17 ივნისს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები, რომელთა თანახმად, უკრაინას და მოლდოვას უნდა მიენიჭოთ ევროპული პერსპექტივა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი სავალდებულოდ შესასრულებელი პირობებით, საქართველოს კი - ევროპული პერსპექტივა. შესაბამისად საქართველო აღმოჩნდა „ასოცირებული ტრიოს“ ერთადერთი ქვეყანა, რომლის მიმართაც ევროკომისიამ განსხვავებული რეკომენდაცია გასცა.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, შეცვლილი პოლიტიკური რეალობისა და ევროკავშირის უპრეცედენტო მხარდაჭერის გათვალისწინებით, „ასოცირებული ტრიოს“ სამივე სახელმწიფოს აქვს შანსი შეასრულონ რეზოლუციით გათვალისწინებული რეკომენდაციები და ევროკავშირის ისტორიაში პირველად დაჩქარებული წესით გახდნენ ევროპის ოჯახის წევრები.

Author's name: **Lika Kakashvili**

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching
University, Third year law student
e-mail: kakashvilil217@gmail.com
Supervisor: **Nino Botchorishvili**
Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Professor
e-mail: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

# GEORGIA THE PROSPECT OF JOINING THE EUROPEAN UNION

The association agreement represents the international agreement of Georgia concluded within the framework of the Eastern Partnership initiative. The European Union concluded a similar agreement with Georgia, Ukraine and Moldova.

According to the association agreement, Georgia is obliged to bring its legislation closer to the EU legislation, to implement political association and economic integration. Article 78 of the Constitution of Georgia stipulates that all constitutional bodies are obliged to carry out their activities in such a way as to facilitate the full integration of Georgia into the European Union. In today's geopolitical developments, the importance of EU law and the Association Agreement is essential.

The European perspective that emerged for Georgia under the Association Agreement has moved to an important stage today, Russia's offer of EU membership candidate status to Ukraine after launching a large-scale war in Ukraine gave Moldova and Georgia the opportunity to become members of the European family earlier than expected.

In May 2021, the foreign ministers of Georgia, Ukraine and Moldova signed a memorandum in Kyiv on the establishment of the

"Associated Trio", which aimed to combine efforts for cooperation with the European Union.

The process was further accelerated in parallel with the invasion of Ukraine by Russian military forces in February 2022. On February 28, Ukraine, which is in a full-scale war with Russia, applied to join the European Union. This was followed by the submission of applications by the Republic of Georgia and Moldova.

On June 17, 2022, the European Commission published recommendations, according to which Ukraine and Moldova should be granted the European perspective and EU membership candidate status with mandatory conditions, and Georgia - the European perspective. Accordingly, Georgia turned out to be the only country of the "Associated Trio" for which the European Commission issued a different recommendation.

Considering the above, taking into account the changed political reality and the unprecedented support of the European Union, all three states of the "Associated Trio" have a chance to fulfill the recommendations stipulated in the resolution and become members of the European family in an accelerated manner for the first time in the history of the European Union.

ავტორი: **ირმა კრაველიძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: Irma.kravelidze@gttu.edu.ge
ხელმძღვანელი: **ნინო ხარიტონაშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

ელ. ფოსტა: Nino.kharitonashvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## ბავშვის მოსმენის უფლების რეალიზაციის საშუალებები

ბავშვობა, ადამიანის ცხოვრების ის პერიოდია, როდესაც მას სრული ქმედუნარიანობა არ აქვს და საჭიროებს დაცვას საზოგადოების მოზრდილი წევრების მიერ. გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისია 18 წლამდე ასაკის ადამიანს ბავშვად თვლის. ბავშვის სხვა უფლებებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-12 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ბავშვს, რომელსაც შეუძლია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას აზრი ყველა საკითხში, რომელიც მას ეხება. ასევე, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 24-ე მუხლი ადგენს, რომ ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა და რომ ასეთი შეხედულებები გათვალისწინებული იქნება იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც სწორედ მათ ეხებათ ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. შესაბამისად, აზრის გამოთქმა მის გათვალისწინებასაც მოიაზრებს. ბავშვის უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი ბავშვებს აკუთვნებს სასამართლო პროცესების დროს ინფორმირებისა და მათი აზრის გამოხატვის უფლებას, როგორც საპროცესო უფლებას.

დღეისათვის ბავშვს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს პირადადაც. ბავშვებთან დაკავშირებულ რიგ წარმოებებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების სავალდებულო მონაწილეობაა დადგენილი, თუმცა მათი საპროცესო სტატუსი განსაზღვრული არაა და ისინი უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციის შესაბამისად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად მონაწილეობენ.

საკონფერენციო თემის მიზანია სამოქალაქო დავებში ბავშვების მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების მექანიზმების მიმოხილვა, ხარვეზების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება.

Author's name: **Irma Kravelidze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching
University, Third year law student
e-mail: Irma.kravelidze@gttu.edu.ge
Supervisor: **Nino Kharitonashvili**
Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Assosiate Prof.
e-mail: Nino.kharitonashvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

## MEANS OF REALIZING THE CHILD'S RIGHT TO BE HEARD

Childhood is the period of a person's life when he does not have full capacity and needs to be protected by adult members of society. The United Nations Human Rights Commission considers a person under the age of 18 to be a child. Among other rights of the child, special attention is drawn to Article 12 of the Convention on the Rights of the Child, which states that a child who is capable of forming his own opinion has the right to express his opinion freely in all matters that concern him. Also, Article 24 of the Charter of Fundamental Rights of the European Union states that children can freely express their views and that such views will be taken into account in relation to matters that concern them in accordance with their age and maturity. Accordingly, the expression of an opinion includes its consideration. Article 3 of the European Convention on the Rights of the Child

entitles children to the right to be informed and express their opinion during court proceedings as a procedural right.
Currently, the child has the right to apply to the court in person. In a number of proceedings related to children, the mandatory participation of guardianship and care authorities is established, although their procedural status is not defined and they participate as third parties without an independent claim in accordance with the recommendation of the Supreme Court.
The purpose of the conference theme is to review the mechanisms of listening to children and taking their opinions into account in civil disputes, to identify gaps and to develop recommendations.

ავტორი: **სალომე ლოსაბერიძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: Salome.losaberidze@gttu.edu.ge
ხელმძღვანელი: **ნინო ბოჭორიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## ხანდაზმულ ადამიანზე ძალადობის პრობლემები საქართველოში

ხანდაზმულ ადამიანზე ძალადობა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ნებისმიერ ურთიერთობაში წარმოქმნილი, სათანადო მოპყრობის ნაკლებობის ერთჯერადი ან განმეორებადი აქტი, როდესაც არის მოლოდინი, რომ

გამოიწვევს ხანდაზმული ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ტკივილს.

ხანდაზმულ ადამიანზე ძალადობა მსოფლიოს მარავალ ნაწილში მიმდინარეობს ნაკლები აღიარებისა და ნაკლები პასუხისმგებლობის პირობებში. უკანასკნელ ხანებამდე ეს სერიოზული სოციალური პრობლემა დაფარული იყო საზოგადოებისაგან და განიხილებოდა როგორც პირადი საკითხი. დღესაც კი, ხანდაზმულ ადამიანზე ძალადობა არის ტაბუირებული, საზოგადოების მიერ უპირატესად ნაკლებშეფასებული და იგნორირებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუმცაღა, დაგროვილი მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ ხანდაზმულ ადამიანზე  ძალადობა არის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ჯანდაცვითი და სოციალური პრობლემა.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პერსპექტივის მიხედვით, სანამ პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორები არ იქნება კარგად აღჭურვილი ამ პრობლემების ამოსაცნობად და გადასაჭრელად, ხანდაზმულ ადამიანზე ძალადობა კვლავ იქნება ნაკლებად გამოვლენილი და ნაკლებად ფოკუსირებული. საქართველოში ხახანდაზმული ადამიანები  მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან და სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. ისინი ხშირად დამოკიდებულები არიან სოციალურ დახმარებასა და პენსიაზე, ცხოვრობენ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზით დგინდება, რომ წლების განმავლობაში უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემები დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორიცაა თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალადობის ფაქტის აღქმა, შესაბამისი უწყებებისადმი ძალადობის მსხვერპლთა დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული ფსიქოსოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობა. სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია მათი

ხანგრძლივად დაცვა ძალადობისგან და დახმარების სერვისების ამოქმედება. ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აღრიცხავს. სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში წლებია უთითებს, რომ სამინისტრო 45 წელს გადაცილებულ პირთა ძალადობის ერთიან სტატისტიკას აწარმოებს, რაც, ბუნებრივია, ვერ ასახავს უშუალოდ ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ზუსტ მონაცემებს.

Author's name: **Salome Losaberidze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Third year law student
e-mail: Salome.losaberidze@gttu.edu.ge
Supervisor: **Nino Botchorishvili**
Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Professor
e-mail: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

## PROBLEMS OF VIOLENCE AGAINST THE ELDERLY IN GEORGIA

Elder abuse can be defined as a single or repeated act of mistreatment occurring in any relationship, when it is expected to cause emotional or physical pain to the elderly person.
In many parts of the world, elder abuse goes on with less recognition and less accountability. Until recently, this serious social problem was hidden from the public and considered a private matter. Even today,

elder abuse is taboo, largely underestimated and ignored by society around the world. However, accumulating evidence indicates that elder abuse is a significant public health and social problem.
From a health and social care perspective, until the primary health and social care sectors are well equipped to recognize and address these problems, elder abuse will continue to be under-recognized and under-focused. Elderly people in Georgia belong to a vulnerable group and are at a higher risk of poverty than the rest of the population. They are often dependent on social assistance and pensions, and live in difficult socio-economic conditions.
Through the analysis of the cases studied by the Public Defender, it is determined that the problems of an unchanged and systemic nature over the years are related to such important issues as the perception of the fact of violence by the victims themselves, the low referral of the victims of violence to the relevant agencies, the absence of existing psychosocial and economic rehabilitation programs for the victims of violence. According to the Public Defender's assessment, it is problematic to protect them from violence for a long time and to launch assistance services. The Ministry of Internal Affairs of Georgia does not record cases of domestic violence against elderly persons. The Public Defender has been pointing out in his parliamentary reports for years that the Ministry produces unified statistics of violence against persons over 45 years of age, which, naturally, cannot reflect the exact data of violence committed directly against elderly persons.

ავტორი: **მარიამ მგალობლიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის საბაკალავრო პროგრამის
მე-4 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: mariam.mgaloblishvili@gttu.edu.ge
ხელმძღვანელი: **ნუგზარ თევდორაძე**

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შედარებითი ანალიზი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტია. ის იძლევა შესაძლებლობას სამართლებრივი თვალსაზრისით შექმნას ხიდი, რომლის მეშვეობითაც პირი, რომელიც სჩადის დანაშულს დაუბრუნდეს კრიმინალამდელ მდგომარეობას. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა 21-ე მუხლში გვაძლევს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობებს. მაგალითად, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ასევე თუ პირმა, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ მათ დაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს.

დღეისათვის მსოფლიოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობათა დიდი უმრავლესობა (საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ჩათვლით) ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, როგორც

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გამათავისუფლებელ გარემოებას. გამონაკლის შემთხვევაში, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელს (იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი), გარდა დიდი ბრიტანეთისა და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობისა, რომლებიც დარჩნენ ანგლო-საქსური სამართლის ტრადიციების ერთგულნი(განა, კენია, უგანდა, ინდოეთი, ტანზანია, ზამბია, ნიგერია და სხვა). ისინი დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას საერთოდ არ ითვალისწინებენ. საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, როგორც სასჯელისგან გამათავისუფლებელ გარემოებას, არ იძლევიან ამ უკანასკნელი ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებას და მხოლოდ მისი დასახელებით შემოიფარგლებიან. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მიუთითებს ნებაყოფლობით ხელის აღების განმსაზღვრელ ცალკეულ ნიშანზე.
მაგალითად, ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 პარაგრაფი ადგენს: ,,თუ პირმა საკუთარი წადილით და არა გარეგანი დაბრკოლებების შედეგად აიღო ხელი დანაშაულებრივი ქმედების დამთავრებაზე ან აიცდინა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, მაშინ მცდელობა არ ისჯება. როგორც ვხედავთ კანონმდებელი გამოჰყოფს ნებაყოფლობით ხელის აღების ცნების მხოლოდ ორ განმსაზღვრელ ნიშანს. მათგან მთავარი და ძირითადია ხელის აღება საკუთარი წადილით, რაც იგივეა-საკუთარი შინაგანი სწრაფვით. უფრო მოკლე ფორმულირებითა და ანალოგიურ ნიშანზე მითითებით შემოიფარგლება შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ,,ვინც საკუთარი წადილით ხელს აიღებს თავისი ბრალეული მოქმედების ბოლომდე მიყვანაზე, შეიძლება გათავისუფლდეს ყოველგვარი სასჯელისაგან თავისი მცდელობისათვის''. ასევე დახლოებით ამგვარი ნიშნით

განსაზღვრავს ნებაყოფლობით ხელის აღების შინარსს იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი, საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი და იაპონიის სისხლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული საკანონმდებლო ნიშნები მიუთითებენ მის ისეთ ნიშანთვისებებზე, როგორიცაა ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე საკუთარი ნებით.

Author's name: **Mariam Mgaloblishvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, fourth year law student
e-mail: mariam.mgaloblishvili@gttu.edu.ge
Supervisor: **Nugzar Tevdoradze**
Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Associate Professor
e-mail: nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

## A COMPARATIVE ANALYSIS OF VOLUNTARY INVOLVEMENT IN CRIME

Voluntary involvement in crime is one of the important criminal institutions. It provides an opportunity from a legal point of view to create a bridge through which a person who commits a crime can return to a pre-criminal state. The current criminal legislation in Article 21 provides us with the conditions for voluntary involvement in the crime. For example, according to the first part of the same article, "a person will not be held criminally responsible if he

voluntarily and finally took part in the crime." Also, if the person who voluntarily took part in the completion of the crime, he will be held responsible only if the act actually committed by him constitutes another crime. The organizer, instigator and helper of the crime shall not be held criminally liable if they persuaded the perpetrator, timely reported to the authorities or otherwise hindered the perpetrator or other accomplice.

At present, the vast majority of criminal laws in force in the world (including the laws of the Republic of Georgia) provide for voluntary participation in the commission of a crime as a circumstance exempting from criminal liability and punishment. In exceptional cases, as a mitigating factor (Article 43 of the Japanese Penal Code), except in the criminal law of Great Britain and some developing countries that have remained faithful to the traditions of Anglo-Saxon law (Ghana, Kenya, Uganda, India, Tanzania, Zambia, Nigeria) etc). They do not consider voluntary involvement in the commission of a crime at all. The criminal law legislators of foreign countries, which consider voluntary participation in the commission of a crime as a circumstance exempting from punishment, do not provide a legal definition of this last concept and are limited only to its name. Only some of them indicate a separate sign of voluntary hand-holding.

For example, paragraph 2 of the Criminal Code of Finland states: "If a person, by his own initiative and not as a result of external obstacles, attempted to complete a criminal act or attempted to achieve the result provided for in the composition of the completed crime, then the attempt shall not be punished." As we can see, the legislator singles out only two defining signs of the concept of voluntary handover. The main and basic of them is to take the hand in one's own way, which is the same - with one's own inner drive. With a shorter wording and reference to a similar sign, the 2nd part of Article 21 of the Swiss Criminal Code is limited: "Whoever, by his own initiative, takes a hand in bringing his guilty act to the end, may be exempted from any punishment for his attempt". The content of

voluntary involvement is also defined by the Italian Criminal Code, Article 56, Sections 3 and 4, the Greek Criminal Code, Article 44, Section 1, and the Japanese Criminal Code, Article 43, Section 2. The above-mentioned legal signs point to such characteristics as taking a hand in bringing the crime to an end by one's own will.

ავტორი: **გიორგი მოწონელიძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სისხლის სამართალი
1-ლი კურსის მაგისტრანტი
ელ. ფოსტა: g.motsonelidze22@gttu.edu.ge
ხელმძღვანელი: **გივი ლობჟანიძე**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ელ. ფოსტა: givi.lobzhanidze@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## COVID-19 პანდემიის ზოგადი კონტურების სამართლებრივი ასპექტები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მასშტაბური ცვლილებები ხდება, შეიმჩნევა ისეთი პროცესები, როგორიცაა მრავალპოლარულობა, ეკონომიკური გლობალიზაცია, საერთაშორისო ძალების ბალანსის გადანაწილება, მსოფლიო თანასაზოგადოების წევრთა შორის ლიდერობისაკენ სწრაფვა, მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების ინტერესებისათვის. და ამ ყველაფერს ადგილი აქვს განგრძობადი პანდემიის ფონზე, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოებისათვის. 2019 წლის ბოლოს, მანამდე უცნობი კორონავირუსი გაჩნდა ჩინეთში და სწრაფად

გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რამაც გამოიწვია რესპირატორიული დაავადების საფრთხე, რომელიც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უპრეცედენტო გამოწვევები მთავრობებისთვის, ბიზნესებისთვის, ინდივიდებისთვის და კანონის უზენაესობისთვის.

გამოსვლაში შევეცადეთ განგვეხილა პანდემიის შედეგად წამოჭრილი ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი, მათ შორის: საგანგებო უფლებამოსილებების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დისკრიმინაციის, კონფიდენციალურობის და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული პრობლემები.

Author's name: **Giorgi Mostanelidze**
Guram Tavartkiladze Tbilisi
Teaching University
Criminal Law, 1st year MA Student
e-mail: g.motsonelidze22@gttu.edu.ge
Supervisor: **Givi Lobzhanidze**
Doctor of Law, Professor
e-mail: givi.lobzhanidze@gttu.edu.ge
Tbilisi Georgia

## COVID 19 PANDEMIC GENERAL MOMENTS THROUGH THE LEGISLATIVE STANDPOINT

In the latest period very many changes have taken place in the whole world. We come across such following processes as multi-polarity, the economical globalization, international forces balance distribution, orientation towards leadership among the world community members to meet the interests for the peaceful and stable

development processes. All these moments had taken place on the constant pandemic process fond that even more complicates the situation from the international and regional security standpoint.

In the end of 2019 the Covid 19 virus vas noticed first in China and has been spread very rapidly though the world and has been followed by the threat of the respirator diseases. Today this is recognized as Covid-19 world Pandemic by the health defense international organizations and it has made the unprecedented challenges for the authorities, businesses, individuals and the juridical laws.

In the work we tried to discuss some legislative issues based on the pandemic concept: including the special authority, social health and security, discrimination, confidentiality and the problems connected to the contracts.

ავტორი: **მარიამ ნიქაბაძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: m.niqabadze03@gmail.com
ხელმძღვანელი: **ნინო ბოჭორიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მნიშვნელობა და საქართველო

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში

საქართველოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოვების მიზნით 2006 წლის 21 სექტემბრიდან ალიანსმა დაიწყო თანამშრომლობა საქართველოსთან "გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის" ფარგლებში.

ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ნატო-საქართველოს შორის ერთობლივი თანამშრომლობის მექანიზმს და მოსამზადებელ ეტაპს, რომელიც დაეხმარებოდა საქართველოს, უკეთესად გაცნობოდა ნატოში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებს. ID-ის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მრავალი კონსულატაცია გაიმართა პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერებისა და განათლების

ნატო-საქართველოს ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსის მხრიდან გაცხადებული ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ

სამხედრო აგრესიას მოჰყვა. 2008 წლის 19 აგვისტოს ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმეს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული რუსეთის ფედერაციის ქმედებები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნისა და 2008 წლის 15-16 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ

საბოლოოდ კი მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებში წარმოადგენს უდიდეს პერსპექტივას ჩვენი ქვეყნისათვის.


Author's name: **Mariam Niqabadze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, 2 year law student
e-mail: m.niqabadze03@gmail.com
Supervisor: **Nino Botchorishvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Doctor of Law, Professor
e-mail: Nino.botchorishvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia


## THE IMPORTANCE OF THE NORTH ATLANTIC ORGANIZATION AND GEORGIA

One of the main priorities of Georgia's foreign and security policy is to join the North Atlantic Treaty Organization. Georgia attaches great importance to the role of NATO in strengthening the country's security and stability. At the same time, it should be noted

that the reforms carried out by the Georgian authorities, which are in full compliance with the main requirements related to NATO membership and the Alliance's recommendations, significantly contribute to the further development of democratic processes in the country. In turn, Georgia, as an aspirant country and a future member of the alliance, plays an important role in strengthening Euro-Atlantic security.

On September 21, 2006, in order to bring Georgia closer to NATO standards, the Alliance began cooperation with Georgia within the framework of the "Intensive Dialogue on Accession Issues".

The intensive dialogue was a mechanism of joint cooperation between NATO and Georgia and a preparatory stage that would help Georgia to better understand the criteria necessary for joining NATO.

Many consultations between NATO-Georgia were held in the ID format in political, security, peaceful conflict resolution, defense, civil emergency planning, economic, science and education.

In NATO-Georgia relations, the unequivocal political support declared by the Alliance, which followed the military aggression against Georgia by the Russian Federation in August 2008, is particularly important. On August 19, 2008, in Brussels, an extraordinary meeting was held at the level of foreign ministers of the alliance member states, where the actions of the Russian Federation against Georgia were unequivocally condemned. At the meeting, a decision was made on the creation of the NATO-Georgia Commission (NGC) and the visit of the North Atlantic Council to Georgia on September 15-16, 2008.

Finally, I would like to mention once again that Georgia's integration into European and Euro-Atlantic structures represents the greatest perspective for our country.

ავტორი: **თამარ ქლიბაძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი
ელ. ფოსტა: tamar.qlibadze@gmail.com
ხელმძღვანელი: **რომან შენგელია**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი
ელ. ფოსტა: roman.shengelia@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## სამოქალაქო სამართლის ადგილი კერძო სამართლის სისტემაში

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი სხვა სამართლებრივი დარგებისგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს რეგულირების თავისი საგანი სფერო და მეთოდი. ე.ი აწესრიგებს, არეგულირებს გარკვეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გარკვეულ სუბიექტებს შორის, მათთვის დამახასიათებელი წესით და მეთოდებით. სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ საოჯახო და პირად ურთიერთობებს. მისი ამოცანა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. თავის მხრივ ქონებრივი ურთიერთობები არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნებით განსაზღვრული ურთიერთობებით, რომელსაც გარკვეული ეკონომიკური ფასეულობა აქვს. პირველ რიგში უნდა იყოს თავისუფალი ნების გამოვლენა და ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა. თუ ურთიერთობის წარმოშობა ხდება ერთი პირის ბრძანებით სამოქალაქო სამართალი ამ ურთიერთობებს ვერ მოაწესრიგებს. სამოქალაქო სამართალი ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც კერძო პირთა ურთიერთმომწესრიგებელი სამართალი. მაშინაც კი როცა სახელმწიფო მონაწილეობს ამ ურთიერთობაში ის

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს ციფრული ხელსაწყოების გამოყენების ძირითადი ტენდენციები ტურიზმში. ტურიზმის ინდუსტრიაში ტრენდულია ტურისტების მიერ სასტუმროების წინასწარი დაჯავშნა და მოგზაურობის მარშრუტის შედგენა, რამაც ხელი შეუწყო მომხმარებელთა საჭიროებებს და ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებას. შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენცია გახლავთ ონლაინ ტურისტური ბაზრის ზრდა, სადაც მოიაზრება ელექტრონული კომერცია და ღირსშესანიშნაობების საიტები. მნიშვნელოვანია, რომ ციფრული ხელსაწყოების მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია თავად დაჯავშნოს სასტუმრო, სამოგზაურო სერვისი, შეისყიდოს ბილეთები და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, ტურიზმის ინდუსტრიის კიდევ ერთი ტენდენცია - ინტერნეტ ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რომელიც საჭიროა პროდუქტების, ბიზნეს პროცესების და მომსახურების გასაუმჯობესებლად.

დღესდღეისობით, ტურისტული კომპანიები სარეკლამო აქტივობებს ინტერნეტის საშუალებით ახორციელებენ, რაც მათ საშუალებას აძლევს გეოგრაფიული ბარიერებისა და დროითი შეზღუდვის გარეშე მიაწვდინონ ხმა ფართო აუდიტორიას. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ტურისტული სააგენტოების წარმატება განისაზღვრება ეფექტიანი მუშაობით, რაც მოიცავს ეფექტიან მარკეტინგს. იქიდან გამომდინარე, რომ პერსონალური კომპიუტერები და ინტერნეტი, როგორც თანამედროვე სამყაროში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები, ონლაინ მარკეტინგისთვის სპეციფიური ფაქტორებია, ტურიზმის ყველა სფეროში არის ათვისებული. ტურიზმი იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებულ პოტენციალს, როგორც განვითარების წყაროს და თავის საქმიანობას განავითარებს თანამედროვე ტექნოლოგიების ჭრილში.

ტურიზმზე პანდემიამ პირდაპირი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა, როდესაც შეიზღუდა გადაადგილება და ტურისტებს აღარ შეეძლოთ გადაადგილება. თუმცაღა აიტი ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო ტურიზმის გაციფრულებას და ტურისტების საჭიროებების დაკმაყოფილებას არაკლასიკური წყაროების საშუალებით, როგორიცაა ვირტუალური ტურიზმი, ხელოვნური ინტელექტი და დიჯიტალიზაცია. თანამედროვე ეტაპზე, აღსანიშნავია ტურიზმის დიჯიტალიზაციის ტენდენცია, რომელიც წინაპირობაა ბიზნესის კონსოლიდაციისა. თანამედროვე დინამიური სისტემები, როგორიცაა დაჯავშნის სერვისები, ონლაინ მომსახურება, ონლაინ გაყიდვები და ტურ პაკეტების შეძენის პორტალები, დამოუკიდებელი ტურების დაგეგმვის პლატფორმები, სასტუმროებს დაჯავშნის სისტემები, ყოველივე ეს დაფუძნებულია მოთხოვნის პროგნოზსა და ფასების მენეჯმენტზე ე.წ Bigdata-ზე.

მაშასადამე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ტურისტულ ბაზარზე ის კომპანიები, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ინტერაქტიულ პროცესს ტურისტის ჩართულობით, ხელს

უწყობს მომხმარებლის ერთგულებისა და ბიზნესის შემოსავლების შენარჩუნებას, ასევე ზრდის კომუნიკაციისა და უსაფრთხოების დონეს ქვეყანაში.

**Nino Charmakadze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Business administration, management
IV course BA Student
n.charmakadze21@gttu.edu.ge
**Giorgi Adamashvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University,
Business administration, management
II course BA Student
g.adamashvili21@gttu.edu.ge
Supervisor: **Zurab Mushkudiani**
Academic Doctor of Business Administration, Professor
zurab.mushkudiani@gttu.edu.ge
Tbilisi Georgia

## DIGITAL TOOLS FOR HOSPITALITY DEVELOPMENT AND THE TOURISM INDUSTRY IN THE CONTEXT OF THE DIGITAL ECONOMY

Digital technologies are essential to the tourism and hotel sector, uniquely contributing to its rapid development.
The paper aims to investigate the main trends in using digital tools in tourism. In the tourism industry, it is trending for tourists to pre-book hotels and make travel itineraries, facilitating the adoption of new technological solutions and customer needs. The following significant trend is the growth of the online travel market, which includes e-commerce and sightseeing sites. It is crucial that through digital tools, customers can book hotels, travel services, buy tickets, etc. It is also

worth noting another trend in the tourism industry - the integration of Internet technologies, which is needed to improve products, business processes, and services.

Today, tourism companies carry out their advertising through the Internet, allowing them to reach a broad audience without geographical barriers or time constraints. The success of travel agencies is determined by practical work, which includes effective marketing. Since personal computers and the Internet, as technologies available in the modern world, are specific factors for online marketing, it is used in all tourism areas. Tourism uses the existing potential of information technologies as a source of development and will develop its activities in the context of modern technologies.

The pandemic directly affected tourism when travel was restricted, and tourists could no longer travel. However, IT technologies have helped to digitize tourism and meet the needs of tourists through non-classical sources such as virtual tourism, artificial intelligence, and digitization. At the current stage, the trend of digitization of tourism is worth noting, which is a prerequisite for business consolidation. Modern dynamic systems such as reservation services, online services, online sales, tour package purchasing portals, independent tour planning platforms, and hotel reservation systems all of this are based on demand forecasting and price management on the so-called Bigdata.

Therefore, as mentioned above, companies in the tourism market that offer the customer an interactive process with the involvement of the tourist help to maintain customer loyalty and business revenues, as well as increase the level of communication and security in the country.

**ანი ბოჭორიშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ტურიზმის სპეციალობა, მე-2 კურსი

**ანი ქავთარაძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ტურიზმის სპეციალობა, მე-3 კურსი
ხელმძღვანელი: **სოფიკო თევდორაძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი
ელფოსტა: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## პოსტ - COVID 19-ის გავლენა ტურისტულ ინდუსტრიაზე : ჩაანაცვლებს თუ არა ციფრული ტურიზმი მასობრივ ტურიზმს?

2020 წელს Covid-19-ის გავრცელებამ გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ვირუსის გეოგრაფიული გავრცელების შესაჩერებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა ტურიზმის ინდუსტრიის ფინანსურ სტაბილურობაზეც. მოგზაურობის შეზღუდვების გამო, ბევრი ქვეყანა იბრძოდა არსებობის შესანარჩუნებლად და ამ მიზნით ტურიზმის გაციფრულება აღმოჩნდა ინოვაციური გადაწყვეტილება, რომელმაც შეძლო პოტენციურად შეემსუბუქებინა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზემოქმედება. თუმცა, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, შეუძლია თუ არა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ციფრულ ტურიზმს მასობრივი ტურიზმის ჩანაცვლება?

ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ უზრუნველყონ ალტერნატიული გამოცდილება, როგორიცაა ვირტუალური ტურები და ონლაინ მუზეუმების ვიზიტები, თუმცა, ისინი სრულად ვერ ჩაანაცვლებენ ახალი ადგილის პირადად მონახულების ავთენტურ გამოცდილებას. ტურისტულმა ინდუსტრიამ უნდა განიხილოს გაციფრულება, რათა შეავსოს ტრადიციული ტურისტული გამოცდილება. აშკარაა, რომ ტურიზმის ინდუსტრია გლობალურად მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა და

ციფრული ტექნოლოგიები გადამწყვეტი ნაწილია მათი შესაძლებლობების გაძლიერებაში და ინოვაციური ტურისტული პროდუქტების მიწოდებაში. სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის სერვისებზე განსაკუთრებით გავლენას სწორედ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ახდენს, რაც იწვევს ციფრული ტურიზმის ახალი გზის გაჩენას. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციამ ტურისტულ ბიზნესს საშუალება მისცა უფრო ეფექტურად იურთიერთქმედონ თავიანთ მომხმარებლებთან - შექმნან და შესთავაზონ გაუმჯობესებული, ინოვაციური ინდივიდუალური სერვისები, რომელთა მორგებაც შესაძლებელია მომხმარებლების სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად. სწორედ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია გარდაქმნის ინდუსტრიის ფუნქციონირებას, მისი გამოყენება აუცილებელია ტურიზმის ბიზნესისთვის, რათა გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები, უზრუნველყონ ინოვაციური ტურისტული პროდუქტები და დარჩნენ კონკურენტუნარიანი ციფრულ ეპოქაში.

**Ani Bochorishvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Tourism specialty
II course BA Student
**Ani Kavtaradze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Educational University
Tourism specialty, III course
Supervisor: **Sofiko Tevdoradze**
Doctor of Business Management, Professor
Email: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge
Tbilisi Georgia

# POST-COVID-19 IMPACT ON THE TOURISM INDUSTRY:
## Will Digital Tourism Replace Mass Tourism?

In 2020, the spread of Covid-19 caused a global economic crisis. The restrictions introduced to stop the geographic spread of the virus have also negatively affected the financial stability of the tourism industry. Due to travel restrictions, many countries need help to survive. To that end, the digitization of tourism has proven to be an innovative solution that could mitigate the economic impact caused by the pandemic. However, it is crucial to analyze whether, using modern digital technologies, digital tourism can replace mass tourism.

Digital technologies can provide alternative experiences, such as virtual tours and online museum visits; however, they can only partially replace the authentic experience of visiting a new place in person. The tourism industry must consider digitization to complement the traditional tourism experience. It is clear that the tourism industry is an essential source of income for the economies of many countries globally, and digital technologies are a critical part of enhancing their capabilities and delivering innovative tourism products. The services of the hospitality industry are particularly affected by the use of digital technologies, which leads to the emergence of a new way of digital tourism. The integration of digital technologies has enabled tourism businesses to interact more effectively with their customers - to create and offer improved, innovative personalized services that can be tailored to the specific needs of customers. The integration of digital technologies is transforming the industry's operations, and its use is essential for tourism businesses to strengthen their capabilities, provide innovative tourism products, and remain competitive in the digital age.

**ნათია თოდუა**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ტურიზმის სპეციალობა, მე-4 კურსი
ელფოსტა: Natiatodua26@gmail.com
ხელმძღვანელი: **სოფიკო თევდორაძე**
ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი
ელფოსტა: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

გასტრონომია, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, დღეს აქტიურად გამოიყენება ტურისტულ ბიზნესში. გასტრონომია კულტურის დარგია, რომელიც არა მარტო პოპულარულია, არამედ მოგების მიღების წყაროსაც წარმოადგენს. კარგი და მაღალხარისხიანი ეროვნული სამზარეულო არის სწორედ კულინარიული ტურიზმის ეფექტურობისა და პოპულარობის განმსაზღვრელი ფაქტორი. გასტრონომიული ტურიზმი საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომ ტურისტს მთელი ეროვნული არამატერიალური თუ მატერიალური ფასეულობები, ტრადიციები, ფოლკლორი, მუსიკა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ეროვნული განსაკუთრებული ტექნოლოგიური პროცესები ადგილზე ავთენტურ სიტუაციაში გააცნოს. გასტროტურიზმს აქვს დიდი პოტენციალი და პერსპექტივები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ძლიერებისათვის.

გასტრონომიული ტურიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ამის მიზეზი კი ქართული სამზარეულოს განსაკუთრებულობა და ქვეყნის კუთხეების მიხედვით კერძების მრავალფეროვნებაა. ეს ყველაფერი ბუნებასა და ადათ-წესებთან შერწყმაში განუმეორებელ სანახაობას და გამოცდილებას ჰპირდება ტურისტს. ასევე,

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნული სამზარეულო ტურისტს აძლევს შესაძლებლობას თვითონ მიიღოს ამა თუ იმ ეროვნული, ნაციისათვის განსაკუთრებული კერძის მომზადებაში მონაწილეობა. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ ნებისმიერი კუთხის ეთნიკური სამზარეულო იყოს დაუვიწყარი ტურისტებისათვის და რაც ყველაზე მთავარია აღუძრას მათ სურვილი მრავალჯერადი სტუმრობისა საქართველოში.

თუმცა, საქართველოში ნამდვილად დგას გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პრობლემა. ეს პრობლემა მოგვარებადია, თუ გავითვალისწინებთ ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს - აუცილებელია: ქვეყანაში არსებობდეს ისეთი ტურ-ოპერატორები, რომლებიც სპეციალიზირებული იქნებიან გასტრონომიულ ტურებზე; სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული კომპანიების წახალისება რათა კომპანიას ჰქონდეს სურვილი იმუშაოს გასტროტურიზმის მიმართულებით; კახეთის რეგიონის გარდა სხვა რეგიონებისა და ქალაქების უფრო მეტი პოპულარიზაცია. საქართველოს ნებისმიერი კუთხე მდიდარია თავისი ორიგინალური და განსხვავებული კერძებით, რაც საშუალებას გვაძლევს შევთავაზოთ ტურისტებს უფრო მრავალფეროვანი და დაუვიწყარი ტურები.

**Natia Todua**
Guram Tavartkiladze Tbilisi teaching university
Tourism specialty
4th course BA Student
Gmail: Natiatodua26@gmail.com
Supervisor: **Sofiko Tevdoradze**
Doctor of Business Management, Professor
Gmail: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

# DEVELOPMENT PERSPECTIVES OF GASTRONOMIC TOURISM IN GEORGIA

Gastronomy, as an object of intangible cultural heritage, is actively used in the tourism business today. Gastronomy is a field of culture, which is not only popular, but also a source of profit. Good and high-quality national cuisine is the determining factor of the effectiveness and popularity of culinary tourism. Gastronomic tourism allows the country to introduce the tourist to all national intangible and material values, traditions, folklore, music, ecologically clean product production, national special technological processes in an authentic situation on the ground. Gastrotourism has great potential and prospects, which is very important for the development and economic strength of the country.

Gastronomic tourism is especially important for Georgia, and the reason for this is the uniqueness of Georgian cuisine and the variety of dishes depending on the corners of the country. All this in combination with nature and customs promises a unique sight and experience to the tourist. It is also worth noting the fact that the national cuisine gives the tourist the opportunity to take part in the preparation of this or that national, special dish for the nation. Georgia has the potential to make the ethnic cuisine of any corner unforgettable for tourists and, most importantly, make them want to visit Georgia multiple times.

However, in Georgia there is a real problem with the development of gastronomic tourism. This problem can be solved if we take into account several important factors based on the specifics of tourism - it is necessary: there should be tour operators in the country who specialize in gastronomic tours;

Encouragement of tourism companies by the state so that the company is willing to work in the direction of gastro-tourism; More promotion of other regions and cities except Kakheti region. Any

corner of Georgia is rich in its original and different dishes, which allows us to offer tourists more varied and unforgettable tours.

**ლანა ქურციკიძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
II კურსი
ხელმძღვანელი: **ტასო გეთაშვილი**
ასოცირებული პროფესორი
taso.getashvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## საქართველოს 2017-2021 წლების საგარეო ვაჭრობის ანალიზი და პერსპექტივები

საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში, იგი განსაზღვრავს ქვეყნების ზრდას, განვითარებას და ურთიერთდამოკიდებულებას. გლობალიზაციასთან ერთად, საგარეო ვაჭრობის საკითხების შესწავლა უფრო აქტუალური და აუცილებელი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის შემუშავების დინამიკის გასაგებად.

2017 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. სხვადასხვა რეგიონებთან სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისას ცხადი ხდება, რომ საქართველომ გამოიყენა შესაძლებლობები და გააღრმავა ეკონომიკური კავშირები ევროპის, აზიის, სამხრეთ და

ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებთან და რეგიონულ პარტნიორებთან. საქართველო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმებსა და საერთაშორისო შეთანხმებებში, რათა გააუმჯობესოს ბაზრის ხელმისაწვდომობა და ვაჭრობის ხელშეწყობა. ქვეყნის მონაწილეობა გლობალურ სავაჭრო სისტემაში, როგორიცაა „ვმო"-ს წევრობა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ხელსაყრელი სავაჭრო გარემოს შექმნაში.

საგარეო ვაჭრობის დინამიკისა და შესაძლებლობების გააზრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის. სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიკაციისა და სირთულეების დაძლევის მუდმივი ძალისხმევა უზრუნველყოფს საქართველოს გრძელვადიან წარმატებას საერთაშორისო სავაჭრო ასპარეზზე.

**Lana Kurtsikidze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
International Business Management
II Year
Supervisor: **Taso Getashvili**
Associate Professor
taso.getashvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

## FOREIGN TRADE ANALYSIS OF GEORGIA AND PERSPECTIVES FOR 2017-2021

Foreign trade plays an important role in the world economy, it determines the growth, development and interdependence of countries. With globalization, the study of foreign trade issues becomes more relevant and necessary to understand the dynamics of international relations, economic development and policy making.

The analysis of foreign trade of Georgia from 2017 to 2021 emphasizes its importance for the economic development of the country. When studying the trade relations with different regions, it becomes clear that Georgia used the opportunities and deepened the economic ties with the countries of Europe, Asia, South and North America and regional partners. Georgia actively participates in various trade regimes and international agreements to improve market access and trade facilitation. The country's participation in the global trade system, such as WTO membership, played a crucial role in creating a favorable trading environment.

Understanding the dynamics and opportunities of foreign trade is vital to Georgia's sustainable economic growth, job creation and integration into the global economy. Continuous efforts to improve trade relations, diversify exports and overcome difficulties will ensure Georgia's long-term success in the international trade arena.

**ნატა აღნიაშვილი**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
II კურსი
ხელმძღვანელი: **ტასო გეთაშვილი**
ასოცირებული პროფესორი

taso.getashvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

# საერთაშორისო ვაჭრობის მსოფლიო მნიშვნელობა საომარი ვითარების დროს

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე განვითარებული და ფართოდ გავრცელებული ფორმაა. მას უჭირავს მთავარი ადგილი მსოფლიოს ქვეყნების თანამედროვე საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსა და პრობლემებს შორის. სავაჭრო ნაკადების შეფერხება მნიშვნელოვანი სამხედრო კონფლიქტების დროს არის მსოფლიო ეკონომიკისა და ცალკეული ქვეყნების და მთელი რეგიონების პოზიციის ცვლილების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამგვარ შეფერხებებს პოტენციურად შეუძლია მრავალი მნიშვნელოვანი ტენდენციის გააქტიურება და, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებისთვის გასათვალისწინებელი ასპექტია.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკისა და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ცვლილება დაკავშირებული იყო ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასთან და საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნასთან, რომლებმაც შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდეს საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლები. აქედან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომი შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც კატალიზატორი არამხოლოდ ტექნოლოგიური გარღვევებისა, არამედ ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე სტრუქტურის შექმნისა.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომმა საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით მხოლოდ მცირე გავლენა მოახდინა, თუმცა აქვე აღსანიშნავია გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა მრავალი ქვეყნის ეკონომიკაზე და ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურებზე. საქართველომ შეძლო სწრაფად აღედგინა ეკონომიკა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, და შემდეგი პერიოდი ხასიათდება საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი ტენდენციით.

რუსეთ-უკრაინის ომის დროს სავაჭრო ნაკადების შეფერხებამ ერთ ქვეყანაში, უარყოფითად იმოქმედა მრავალ სხვა, მის საექსპორტო პროდუქციაზე დამოკიდებულ ქვეყანაზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე და გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტზე სხვადასხვა ქვეყნებისთვის. ომში ჩართული მხარეები, (ძირითად უკრაინა), ყველაზე მეტად ზარალდებიან. თუმცა აღსანიშნავია ამ ქვეყნების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე პროდუქტების სხვადასხვა კატეგორიებში გლობალური დეფიციტის გამოწვევის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვნად გააუარესებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას.

**Nata Agniashvili**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
International Business Management
II Year
Supervisor: **Taso Getashvili**, Associate Professor
taso.getashvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

# WORLDWIDE IMPORTANCE OF INTERNATIONAL TRADE IN WARTIME

International trade is the most developed and widespread form of international economic relations. It occupies the main place among the contemporary foreign political interests and problems of the countries of the world. Disruption of trade flows during major military conflicts is an important prerequisite for changes in the world economy and the position of individual countries and entire regions. Such disruptions can potentially activate many important trends and are therefore an aspect for public policy makers to consider.

During the Second World War there was a significant change in the dynamics and structure of international trade. The change was related to the international trade policy of the countries and the creation of international organizations, which significantly increased the indicators of international trade in the subsequent period. Therefore, the Second World War can be considered as a catalyst not only for technological breakthroughs, but also for the creation of the modern structure of international trade.

The 2008 war between Georgia and Russia had only a small impact on international trade, although the impact of the global

financial crisis on the economy and export-import structures of many countries should be noted here. Georgia was able to quickly restore the economy with the help of international organizations, and the next period is characterized by a positive trend in international trade.

The disruption of trade flows in one country during the Russia-Ukraine war has adversely affected many other countries dependent on its exports, international trade, and global gross domestic product for various countries. The parties involved in the war (mainly Ukraine) suffer the most. However, the influence of these countries on international trade in terms of causing global shortages in various categories of products is worth noting, which will significantly worsen the economic situation of developing countries.

**ნანა კილასონია**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი
IV კურსი
ხელმძღვანელი: **ტასო გეთაშვილი**
ასოცირებული პროფესორი
taso.getashvili@gttu.edu.ge
თბილისი, საქართველო

## კულტურა და ლიდერობა, როგორც მართვის თანამედროვე მიდგომები წარმატებულ კომპანიებში

კომპანიათა წარმატება დამოკიდებულია კომპანიის კულტურაში ორგანიზაციისა და ლიდერობის დონეზე. სწორი ხელმძღვანელობით, პოზიტიურმა ორგანიზაციულმა კულტურამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მთელ სამუშაო პროცესზე, ეს არის ღირებულებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის წარმატებას.

ლიდერობა და კულტურა ორგანიზაციებში მნიშვნელოვანია, რადგან ეს ხელს უწყობს ჰარმონიული, თანამშრომლობითი და სანდო სამუშაო ადგილის შექმნას. ლიდერები ასწავლიან თანამშრომლებს, როგორ მიიღონ ორგანიზაციის სტრუქტურა და თავისებურებები. ლიდერის პასუხისმგებლობაა ახსნას კომპანიის მისია, მიზნები და ძირითადი ფასეულობები, ასევე განსაზღვროს, ასწავლოს, დააკვირდეს და საჭიროების დროს წაახალისოს ის კულტურა, რომლის პოპულარიზაციაც სურს. ეთიკური ლიდერობა ხელს უწყობს ბიზნესის წარმატებას და ზრდას.

კულტურა და ლიდერობა აქტუალური საკითხია საქართველოშიც და უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ქართულ თანამედროვე კომპანიებშიც, რადგან ქართული კომპანიები სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებიან და აქვთ შესაძლებლობა იყვნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო ასპარეზზე.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ორგანიზაციებმა და ინსტიტუტებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინვესტიცია მოახდინეს ლიდერობასა და ორგანიზაციულ კულტურაში, რამაც შექმნა კონკურენციის მაღალი დონე ბიზნესში. მომავალი ლიდერების იდენტიფიცირებისა და განვითარების პროცესი ტრადიციულად გრძელდება პოტენციური ლიდერის მახასიათებლების გარშემო. კულტურული ღირებულებები,

ტენდენციები და წესები აყალიბებენ ლიდერობის უნიკალურ სტილს. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ ლიდერებმა შეაფასონ და პატივი სცენ კულტურულ ელემენტებს, ასევე ისინი უნდა ცდილობდნენ ხელი შეუწყონ სათანადო და სტრატეგიულად შესაფერისი კულტურის პოპულარიზაციას. ლიდერები აყალიბებენ კულტურას ნებისმიერი კომპანიის შექმნის პირველ ეტაპზე, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც კომპანია მომწიფდება და მიაღწევს წარმატებას, სწორედ კულტურა აყალიბებს ლიდერობის მახასიათებლებს.

**Nana Kilasonia**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Business administration, management
IV Year
Supervisor: **Taso Getashvili**, Associate Professor
taso.getashvili@gttu.edu.ge
Tbilisi, Georgia

## CULTURE AND LEADERSHIP AS MODERN APPROACHES TO MANAGEMENT IN SUCCESSFUL COMPANIES

The success of companies depends on the level of organization and leadership in the company culture. With the right leadership, a positive organizational culture can have a significant impact on the entire work process, a set of values that determines the company's success.

Leadership and culture in organizations is important because it helps create a harmonious, collaborative and trusting workplace. Leaders teach employees how to accept the organization's structure

and characteristics. It is the leader's responsibility to explain the company's mission, goals and core values, and to define, teach, monitor and, when necessary, encourage the culture he wishes to promote. Ethical leadership contributes to business success and growth.

Culture and leadership is an actual issue in Georgia and is an important factor in modern Georgian companies, because Georgian companies are developing faster and faster and have the opportunity to be competitive in the international arena.

Over the past thirty years, organizations and institutions around the world have invested in leadership and organizational culture that has created a high level of competition in business. The process of identifying and developing future leaders traditionally revolves around the characteristics of a potential leader. Cultural values, trends and rules shape a unique leadership style. However, it is essential that leaders appreciate and respect cultural elements, and they should strive to promote an appropriate and strategically appropriate culture. Leaders shape the culture early in the creation of any company, but later, as the company matures and succeeds, it is the culture that shapes the leadership characteristics.

**ლანა ნიქაბაძე**
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები
IV კურსი
ხელმძღვანელი: **დავით ვეკუა**
ასოცირებული პროფესორი
david.vekua@yahoo.com
თბილისი, საქართველო

# საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების გზები და პერსპექტივები

თანამედროვე მსოფლიოში, სადაზღვევო ბიზნესი წარმოგვიდგება, როგორც მასშტაბური რესურსების მფლობელი ფინანსური მომსახურების სექტორი, რომელსაც ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში აღარ აქვს შეზღუდული კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. გლობალიზაციამ ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა დაზღვევის, როგორც ფინანსური ბაზრის საინვესტიციო შესაძლებლობები და მეორეს მხრივ, დააჩქარა მისი სახელმწიფოსთან, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ პარტნიორთან თანამშრომლობის პროცესი.

მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სადაზღვევო ბაზარი ჩამოყალიბებულია. არსებობს სადაზღვევო კომპანიები, სადაზღვევო მომსახურება და მომხმარებლები. თანდათან უმჯობესდება მენეჯმენტი და მარკეტინგული ღონისძიებები; იზრდება მოსახლეობის და ორგანიზაციების სადაზღვევო კულტურის დონე. ყველაფერი ეს კი აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ სადაზღვევო სისტემამ ქვეყანაში იმუშაოს ეფექტურად. ხოლო იმ ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოსაფრხვრელად, რომელთაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სადაზღვევო სფეროში, საჭიროა სერიოზული მუშაობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, საჭიროა უცხო ქვეყნის გამოცდილებების გაცნობა და გაზიარება. ასევე საჭიროა სადაზღვევო კომპანიების პროფესიული ზრდა.

საქართველოში სადაზღვევო ბაზარი სწრაფად და სტაბილურად იზრდება და დაზღვევა, როგორც საიმედო

მექანიზმი იცავს ადამიანების ქონებრივ და პირად ინტერესებს. დინამურად იზრდება საქართველოს ეკონომიკაში დაზღვევის საკრედიტო და საინვესტიციო შესაძლებლობები. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანმიმდევრულად მიმდინარეობს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ევროკავშირის სადაზღვევო სივრცესთან ადაპტაციის პროცესი.


**Lana Nikabadze**
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Business administration, Finance
IV Year
Supervisor: **David Vekua**
Associate Professor
david.vekua@yahoo.com
Tbilisi, Georgia


## WAYS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT OF THE INSURANCE MARKET OF GEORGIA

In the modern world, the insurance business is presented to us as a financial service sector possessing large-scale resources, which in the conditions of the globalization of the economy no longer has the possibility of free movement of limited capital. Globalization, on the one hand, significantly increased the investment opportunities of insurance as a financial market, and on the other hand, accelerated the process of its cooperation with the state as a social and economic partner.

Despite the existing shortcomings, it can be safely said that the insurance market has been established in Georgia at the modern stage.

There are insurance companies, insurance services and consumers. Management and marketing activities are gradually improving; The level of insurance culture of the population and organizations is increasing. All this is a necessary prerequisite for the effective functioning of the insurance system in the country. And in order to eliminate the shortcomings and gaps that still exist in the insurance sector, it is necessary to work seriously at the level of international standards, it is necessary to get to know and share the experiences of foreign countries. Professional growth of insurance companies is also needed.

The insurance market in Georgia is growing rapidly and steadily, and insurance as a reliable mechanism protects people's property and personal interests. Insurance credit and investment opportunities are growing dynamically in the Georgian economy. It is very important that the process of adaptation of the Georgian insurance market to the European Union insurance space is ongoing.

**ნინო ბაჩილავა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მეოთხე  კურსის სტუდენტი
ელფოსტა:nino.bachilava77@gmail.com
ხელმძღვანელი: **ქეთევან კოკაია**
ეკონომიკისა და ბიზნესის
ასოცირებული პროფესორი
ketikkokaiaq@yandex.ru
თბილისი, საქართველო

## რისკების მართვა დაზღვევის დროს

სადაზღვეო რისკი განხილული უნდა იყოს რამდენიმე ასპექტით
თეზისი 1. როგორც მოვლენა,რომლის დადგომის დროს ხდება, გადახდა ადრე შექმნილი სადაზღვეო ფონდების ნატურალურ-საგნობრივი ან გულადი თანხით.
თეზისი 2. კონკრეტულ დაზღვეულ ობიექტთან დაკავშირებით მოვლენათა ერთობლიობა არ განიხილება აბსტრაქტულად. ისინი თავისთავად მიეკუთვნება სადაზღვეოდ მიღებულ ობიექტს, სადაც ხდება რისკის რეალიზაცია. ნებისმიერ რისკს აქვს კონკრეტული ობიექტი. ჩვენს ცნობიერებაში რისკი დაკავშირებულია ამ ობიექტთან, შეისწავლება რისკის ფაქტორები. მიღებული ინფორმაციის ანალიზი სხვა ზომებთან ერთად კომპლექტურად იძლევა რისკის განხორციელების უაროფითი შედეგების არსებითად შემცირების ან თავიდან აცილების საშუალებას.
თეზისი 3. რისკი დაკავშირებულია მოცემულ სადაზღვეო ობიექტის განადგურების ან დაზიანების ალბათობასთან . ნებისმიერი ალბათობა შეიძლება გამოისახოს მთელი რიცხვით. ნულის ტოლი ალბათობისას შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ შეუძლებელია მოცემული მოვლენის დადგომა, ხოლო 1 - ის ტოლი ალბათობისას კი არსებობს 100% - იანი ალბათობა იმისა, რომ მოვლენა მოხდება . რაც ნაკლებია რისკის ალბათობა მით უფრო ადვილად და იაფად შეიძლება მისი დაზღვევის ორგანიზება. რისკის მნიშვნელოვანი ალბათობა ძვირადღირებულ სადაზღვეო დაცვას, რაც აიძლებს მის შესრულებას.
თეზისი 4. დაზღვევას ახასიათებს ობიექტური და სუბიექტური ალბათობა. ობიექტურ ალბათობას ასახავს კანონები, რომლებიც გააჩინათ მოვლენებს და საგნებს ობიექტურ რეალობაში, ხოლო სუბიექტური ალბათობა გამოხატავს შემთხვევითობას, რომელიც იგნორირებას უწევს სინამდვილისაკენ ობიექტურ მიდგომას. უარყოფს და არ ითვალისწინებს საზოგადოების ობიექტურ კანონებს.

თეზისი 5. რისკი შეიძლება იყოს წარმოდიგენილი ლოგიკური ალბათობითან, რომელიც აგებულია ბუნების და საზოგადოების ობიექტურ კანონებზე . ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზისა და ჰიპოთეზის მეთოდებით.

Author's name: **Nino Bachilava**
Sukhumi State University,
Faculty of Business and Social Sciences
Nino.bachilava77@gmail.com
Supervisor: **Ketevan Kokaia**
Associate Professor
of Economics and Business
ketikkokaiaq@yandex.ru
Tbilisi, Georgia

## RISK MANAGEMENT DURING INSURANCE

Insurance risk should be considered from several aspects.
Thesis 1. As an event, when it occurs, payment is made in kind or in cash from the previously created insurance funds.
Thesis 2. A set of events related to a specific insured object is not considered abstractly. They themselves belong to the object accepted for insurance, where the risk is realized. Any risk has a specific object. In our consciousness, risk is related to this object, risk factors will be studied. The analysis of the received information together with other measures allows the negative consequences of risk implementation to be significantly reduced or avoided.

Thesis 3. Risk is related to the probability of destruction or damage of the given insured object. Any probability can be expressed as an integer. With a probability equal to zero, it is possible to assert that the event will not occur, and with a probability equal to 1, there is a 100% probability that the event will occur. The lower the risk probability, the easier and cheaper it is to organize one's insurance. A significant probability of risk is expensive insurance, which can fulfill it.
Thesis 4. Insurance is characterized by objective and subjective probability. Objective probability reflects the laws that give rise to events and objects in objective reality, while subjective probability expresses randomness that ignores the objective approach to reality. rejects and does not take into account the objective laws of society.
Thesis 5. Risk can be represented by logical probability, which is built on the objective laws of nature and society. with the methods of induction, deduction, analysis, synthesis and hypothesis.

**ელენე ჭითანავა**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მეოთხე კურსის სტუდენტი.
ელფოსტა:elene.chitanava.98@mail.ru
ხელმძღვანელი: **ქეთევან კოკაია**
ეკონომიკისა და ბიზნესის
ასოცირებული პროფესორი
ელფოსტა: Ketikokaiaq@yandex.ru
თბილისი, საქართველო

## კლასიფიკაცია დარგების მიხედვით

დაზღვევის ობიექტი შეიძლება დაზღვეულ იქნას ერთი ხელშეკრულებით რამდენიმე მზღვეველთან. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს პირობებს,რომლებმაც უნდა განსაზღვროს თითოეული მზღვეველის უფლებები და მოვალეობები. დაზღვევის ობიექტების თვისებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამოიყოს დაზღვევის ოთხი ძირითადი სახეობა: ქონებრივი, პირადი,პასუხისმგებლობის და ეკონომიკური რისკების დაზღვევა.
თეზისი1. პირადი დაზღვევა, არის დაზღვევის სახეობა,რომელშიც დაზღვევის ობიექტად გამოდის დამზღვევის ან სხვა დაზღვეული პირის სიცოცხლესთან, ქმედითუნარიანობასთან, ჯანმრთელობასთან და საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესები.
თეზისი2. ქონებრივი დაზღვევა, არის დაზღვევის სახეობა, სადაც სადაზღვეო ობიექტს წარმოადგენს ქონებრივი ინტერესები,რომლებიც დაკავშირებულია ქონების ფლობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.
თეზისი3. პასუხისმგებლობის დაზღვევა, არის დაზღვევის სახეობა, სადაც სადაზღვეო ობიექტს წარმოადგენს მესამე

პირთა წინაშე პასუხისმგებლობა, რომელთა პიროვნებას ან ქონებას შეიძლება ზიანი მიადგეს, რომელიღაც ქმედების ან დამზღვევის უმოქმედების შედეგად.

თეზისი4. სადაზღვეო დაცვის მეთოდების დასასაბუთებლად გამოიყოფა დაზღვევის ქვესახეობები დამზღვევთა საკუთრების ფორმის და სოციალური ჯგუფის მიხედვით. მაგ: ქონებრივი დაზღვევის მიზნებისთვის განასხვავებენ ბიზნეს სუბიექტებს: სახელმწიფო, კერძო, საიჯარო და ცალკეულ მოქალაქეთა ქონებას პირადი საკუთრების უფლებით.

Authors' name: **Elene Tchitanava**
Sukhumi State University,
Faculty of Business and Social Sciences
elene.chitanava.98@mail.ru
Supervisor: **Ketevan Kokaia**
Associate Professor
of Economics and Business
e-mail: Ketikokaiq@yandex.ru
Tbilisi, Georgia

## CLASSIFICATION ACCORDING TO BRANCHES

Insurance object can be insurances by the same contract with different agents. The contract should include terms that should define the rights and obligations of each insurer. Based on the properties of the object of insurance, we should distinguish four main types of insurance: property, personal, liability and economic risk insurance.

Thesis 1: Personal insurance is a type of insurance in which the

insured's or other insured's interests related to life, capacity, health and retirement security are the object of insurance. Thesis 2: property insurance is a type of insurance where property ownership, usage and disposal are presented to the insured. Thesis 3: liability insurance is the type of insurance where insurance object is the third party. In this type if insurance, insured takes liability in case of other's personal or property damage, which is caused by insurer's activity or inactivity. Thesis 4: In order to justify insurance methods, we discrimenate subtypes of insurance by property types and social groups. For instance, in property insurance there are different business objects such as: state, private, public and individual property's ownership rights.

**კონფერენციის ორგანიზატორი**

გთუნის კვლევების ხელშეწყობის ცენტრი

**Conference organizer**

Research Support Center of GTUNI